სანოტარო აქტი

ორიათას თექვსმეტი წლის ოცდათერთმეტ მარტს მე, **ნოტარიუს შორენა ხაინდრავას** ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: **ქ. თბილისი, დ. გამრეკელის ქ. №18**, მომმართა **შპს «ლეგსი Legsi»-ს დირექტორმა გიორგი კიკალიშვილმა** (თანახმად ამონაწერისა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან: განაცხადის რეგისტრაციის №B15126133, ს/კ 405004418, ამონაწერის მომზადების თარიღი 10/06/2015). მან მოითხოვა მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დადასტურება. მე შევამოწმე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად **გიორგი კიკალიშვილმა** (დაბ. 18.11.1986წ, რეგისტრირებული მისამართზე: თბილისი, დიდი დიღომის დასახლება, IV მ/რ №12 ბ.106, პირადი №01025018089) მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე დავრწმუნდი მისი ნების გამოვლენის ნამდვილობაში, შევადგინე მინდობილობა, წავუკითხე მას, განვუმარტე მისი შინაარსი და მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები, რის შემდეგ **გიორგი კიკალიშვილმა** თავადაც წაიკითხა მინდობილობის ტექსტი და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი მას.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

მე, **შპს «ლეგსი Legsi»-ს დირექტორი გიორგი კიკალიშვილი** (დაბ. 18.11.1986წ, რეგისტრირებული მისამართზე: თბილისი, დიდი დიღომის დასახლება, IV მ/რ №12 ბ.106, პირადი №01025018089) ვანიჭებ **სულხან ხუცაიძეს** (პირადი №01019000692) შემდეგ უფლებამოსილებებს:

1. მართოს საზოგადოების საქმიანობა იმ უფლებებითა და მოვალეობებით, რომელიც გამაჩნია მე, როგორც კომპანიის დირექტორს, ჩემი, როგორც კომპანიის დირექტორის სახელით, აწარმოოს მოლაპარაკებები ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, მიიღოს ნებისმიერი სახის გადაწყვეტილება, ხელი მოაწეროს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა დოკუმენტაციას, მათ შორის ნებისმიერი სახის ხელშეკრულებას, მოახდინოს დოკუმენტების/ხელშეკრულების რეგისტრაცია მარეგისტრირებელ ორგანოში, ხელი მოაწეროს ყველა საჭირო საბუთს;
2. იყოს ჩემი წარმომადგენელი ნებისმიერ საბანკო დაწესებულებაში, მართოს და განკარგოს კომპანიის კუთვნილი ნებისმიერი ანგარიში, მოახდინოს ნებისმიერი სახის საბანკო ოპერაცია, მათ შორის: თანხის შეტანა, გატანა, გადარიცხვა, კონვერტაცია, გახსნას და/ან დახუროს ნებისმიერი ანგარიში ნებისმიერ ვალუტაში, ჩართოს და ისარგებლოს ინტერნეტ-ბანკინგით, მიიღოს პინ კოდი და/ან სიაისი კოდი, მიიღოს ცნობა, დოკუმენტი, ამონაწერი და/ან ინფორმაცია ანგარიშებზე არსებული ბალანსის, ნაშთების ოდენობის შესახებ, ხელი მოაწეროს ნებისმიერ საჭირო საბუთს;
3. იყოს ჩემი წარმომადგენელი კომუნალური მომსახურების სამსახურებში, მათ შორის: "თბილისის დასუფთავების სამსახურში" შპს "ყაზტრანსგაზი თბილისში", სს "თელასში", შპს "ჯორჯიან ვოთერ ენდ ფაუერში", ჩემი სახელით შეიტანოს განცხადებები, წარადგინოს და მიიღოს ნებისმიერი საჭირო ცნობა და/ან დოკუმენტი, გააფორმოს ნებისმიერი სახის ხელშეკრულება, ხელი მოაწეროს ნებისმიერ საჭირო საბუთს;
4. მინიჭებული უფლებამოსილების განსახორციელებლად იყოს ჩემი წარმომადგენელი ნებისმიერ სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებაში, მათ შორის: იუსტიციის სახლში, სამეწარმეო რეესტრში, შემოსავლების სამსახურში, ფინასთა სამინისტროსა და მის დაქვემდებარებაში არსებულ ნებისმიერი დაწესებულებაში, ჩემი სახელით შეიტანოს განცხადებები, წარადგინოს და/ან მიიღოს ნებისმიერი საჭირო ცნობა და/ან დოკუმენტი, გადაიხადოს კანონით გათვალისწინებული გადასახადები, ხელი მოაწეროს ყველა საჭირო საბუთს და შეასრულოს ყველა ის

მოქმედება, რაც წინამდებარე მინდობილობით მინიჭებული უფლებამოსილების განსახორციელებლად იქნება საჭირო.

მინდობილობა გაცემულია ორი წლის ვადით და ძალაშია 2018 (ორი ათას თვრამეტი) წლის ოცდათერთმეტი მარტის ჩათვლით.

წინამდებარე მინდობილობა შედგენილია ხუთ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება სანოტარო ბიუროს არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცა მიმნდობს.

იმ ეგზემპლიარს, რომელიც რჩება სანოტარო ბიუროს არქივში თან ერთვის შემდეგი დოკუმენტი:

1. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან (განაცხადის რეგისტრაციის №B15126133, ს/კ 405004418, ამონაწერის მომზადების თარიღი 10/06/2015);

2. წესდება ხელისაწვდომია მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრის საიტზე.

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური 10 ლარი (თანახმად „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ 2011 წლის 29 დეკემბრის საქართველოს მთავრობის №507-ე დადგენილების მ.31 პ.7-ის თანახმად) და რეგისტრაციის საფასური ორი ლარი (ამავე დადგენილების მ.39 პ.1-ის თანახმად). სულ გადახდილია 12 ლარი.

შპს «ლეგსი Legsi»-ს დირექტორი
გიორგი კიკალიშვილი ----------

ნოტარიუსი ---------- შორენა ხაინდრავა

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

09887836101216

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N160312319

რეგისტრაციის თარიღი

31.03.2016 წ

ნოტარიუსი: შორენა ხაინდრავა

მისამართი: ქ. თბილისი დ. გამრეკელის ქ. N18

ტელეფონი: 2725342

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18